



რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის?

ნინო სამხარაძე¹

საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთ გამოკვეთილ ხარვეზად მოიაზრება. როგორც თბილისში ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, დევიდ მაკალისტერმა თქვა, *სამწუხაროდ, როდესაც ჩვენ საქართველოზე ვსაუბრობთ, წამოიჭრება ხოლმე ერთი სიტყვა და ეს არის პოლარიზაცია* (McAllister 2022). ეს ფენომენი სცდება იდეოლოგიურ დაპირისპირებას და დესტრუქციულ სახეს იძენს, შედეგად დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ დეპოლარიზაცია არის ერთ-ერთი პირობა ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად გაცემულ 12 რეკომენდაციას შორის (European Commission 2022).

მიუხედავად იმისა, რომ დისკუსია პოლარიზაციის საზიანო ეფექტებსა და დეპოლარიზაციის აუცილებლობაზე, დიდი ხანია, აქტიურად მიმდინარეობს, ჯერ კიდევ ბუნდოვანია საქართველოში არსებული პოლარიზაციის ბუნება, აქტორები და მახასიათებლები. ეს ბუნდოვანება, უახლოეს მომავალში, დეპოლარიზაციის მიღწევას ართულებს და არარეალისტურს ხდის, ამიტომ, მნიშვნელოვანია ფართო მსჯელობის გამართვა ამ ფენომენის შესახებ. ამ მიზნით, წარმოდგენილ პოლიტიკის მემორანდუმში გაანალიზებულია ერთწლიანი პერიოდი საქართველოში ჩატარებული ბოლო არჩევნებიდან დღემდე - 2021

¹ პოლიტიკის უმცროსი ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე. ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, პასუხი გასცეს კითხვებს, თუ რა სახე აქვს პოლარიზაციას დღეს საქართველოში და რა კრიტერიუმებით შეიძლება შევავსოთ ის.

პოლარიზაციის სახეები და საქართველო

ბოლო წლების განმავლობაში პოლარიზაცია მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთი თანმდევი მახასიათებელია, შესაბამისად, მისი კვლევაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება, მათ შორის, გამოცდილ დასავლურ დემოკრატიებში (Bertoa & Rama 2021). არასტაბილურ ჰიბრიდულ რეჟიმებში, როგორცაა საქართველო, რთულია პოლარიზაციის იმ მეთოდებით გაზომვა, რომლებიც შემდგარ დემოკრატიებში გამოიყენება, თუმცა მაინც შეგვიძლია გარკვეულ ტენდენციებზე საუბარი. ექსპერტულ და აკადემიურ წრეებში სხვადასხვა ევროპული შემთხვევების კვლევის შედეგად, პოლარიზაცია, ძირითადად, განიხილება, როგორც ოთხგანზომილებიანი კონცეპტი: იდეოლოგიური და აფექტური დაპირისპირება, რომელთაგან თითოეული, შესაძლოა, არსებობდეს პოლიტიკური ელიტების და/ან მასების დონეზე (Van der Veen 2021) (ცხრილი 1).

ცხრილი 1. პოლარიზაციის კლასიფიკაცია ოლაფ ვან დერ ვეენის მიხედვით

	პოლიტიკური ელიტები	მასები
იდეოლოგიური პოლარიზაცია	იდეოლოგიური განსხვავებულობა პარტიებს შორის კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში	იდეოლოგიური განსხვავებულობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონკრეტულ საზოგადოებაში
აფექტური პოლარიზაცია	ემოციური დაპირისპირება პარტიებს შორის კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში	ემოციური დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონკრეტულ საზოგადოებაში

წყარო: Van Der Veen, Olaf. 2021. *Political Polarisation Compared: Creating a Comprehensive Index of Political Polarisation*. MA Thesis. Central European University.

წარმოდგენილ ნაშრომში საქართველოს შემთხვევისთვის რელევანტურ ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ ელიტური აფექტური პოლარიზაცია (Elite Affective Polarization), რომელიც გულისხმობს პოლიტიკურ ჯგუფებს შორის პოლიტიკური დისკურსის ემოციურად განსაზღვრას, რაც განაპირობებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და მათი ხედვების ერთმანეთისგან რადიკალურ დისტანცირებას და იზოლირებას (Torcal & Comellas 2022; Iyengar et al. 2019). საგნობრივ დებატში გათიშულობა ხელს ვერ უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას პარტიებს შორის (Kakachia 2020), უკიდურეს შემთხვევებში, შედეგად გვაძლევს სიძულვილისა და უკომპრომისო დაპირისპირების მაღალ ხარისხს. შესაბამისად, ასეთ დროს პოლიტიკური კონკურენცია ხდება დესტრუქციული და უშუალოდ კონკურენტის საზიანოდ მიმართული (Patkos 2022; Van der Veen 2021; Druckman & Levendusky 2019).

შედეგად, ვიღებთ ამომრჩეველს, რომელიც ასეთ გარემოში ვერ პოულობს პარტიულ იდენტობას და პოლიტიკური ჩართულობის ხარისხი მცირდება, რაც საქართველოში ტრადიციული პრობლემაა (Caucasus Barometer 2022). ეს კი, გრძელვადიანი და სტაბილური დემოკრატიზაციისთვის დამლუპველი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს (Gegeshidze & De Waal 2021; Bertoa & Rama 2021). აფექტური პოლარიზაციის არსებობის პირობებში პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოებაში იქმნება ერთგვარი „სასურველი შიდა“ და „არასასურველი გარე“ ჯგუფები (Liked ingroups და Disliked outgroups), ასეთ დროს ჩნდება სივრცე პოლიტიკური პარტიებისთვის, მიიმხრონ მეტი ამომრჩეველი „არასასურველი აქტორის“ ფაქტორის გამოყენებით განურჩევლად ამომრჩევლის იდეოლოგიური პრეფერენციისა (Torcal & Comellas 2022; Patkos 2022; Druckman & Levendusky 2019). ეს პოლარიზაციის დამაზიანებელ ეფექტებს კიდევ უფრო ზრდის: ასეთ გარემოში პოლიტიკური კონფლიქტის და კრიზისის გამოწვევა მარტივდება, მისი მოგვარება კი რთულდება (Patkos 2022).

საქართველოში, როგორც წესი, პოლარიზაციაზე საუბრისას განსაკუთრებული აქცენტები ისმება იმაზე, რომ იდეოლოგიური პოლარიზაცია არ არსებობს იმდენად, რამდენადაც პარტიების იდეოლოგიური იდენტობები გამოკვეთილი არ არის (Bertoa 2021; Kakhishvili et al. 2021; Kakachia 2020). ქართული პოლიტიკური კონკურენცია - პოლიტიკური დებატები, წინასაარჩევნო კამპანიები, პარტიების საპარლამენტო საქმიანობა და ა.შ. - იდეოლოგიური დისკუსიისგან დაცლილია (OSCE 2018; 2020; 2021; GIP 2021), რასაც ანაცვლებს რადიკალიზაციის და უკომპრომისო დაპირისპირების მაღალი ხარისხი. მეორე მხრივ, ხშირად არის მითითებები და დასკვნები რადიკალიზაციის ზრდად ხარისხზე პოლიტიკურ

ელიტებს შორის, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდებში. სიმულვილის ენა და ტოლერანტულობის/სოლიდარობის დაბალი დონე პოლიტიკურ დებატში (Van der Veen 2021) მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში საქმე გვაქვს სწორედ აფექტურ პოლარიზაციასთან. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიტიკური ელიტა ამგვარი სტრატეგიის არჩევის გზით ნაკლებად პასუხობს ამომრჩევლის დაკვეთას, რომელიც, სხვადასხვა გამოკითხვების მიხედვით, არ არის ამდენად რადიკალური და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის მომხრეა (Samkharadze 2022).

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება ელიტურ აფექტურ პოლარიზაციაზე, როგორც საქართველოში არსებული პოლარიზაციის დომინანტურ ნაირსახეობაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არ არსებობს სხვა ტიპის პოლარიზაცია, რომლებიც კვლევას არ საჭიროებს. თუმცა, ელიტური აფექტური პოლარიზაცია არის წამყვანი ფაქტორი, რომელიც დღეს ძირითად პოლიტიკურ ტენდენციებს განსაზღვრავს და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესისთვის დამაზიანებელ ეფექტს ქმნის.

როგორ გავზომოთ და შევაფასოთ პოლარიზაცია საქართველოში?

საქართველოში პოლარიზაციის აქტორებად, უმთავრესად, მიიჩნევა ორი დიდი სუბიექტი - მმართველი *ქართული ოცნება* და ელექტორალურად ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* (Gegeshidze & De Waal 2021; Kakachia 2020). ამომრჩევლის ხმების უმეტესობა, როგორც წესი, სწორედ ამ ორ პარტიას შორის ნაწილდება: 2012, 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში მათ ჯამში, შესაბამისად, ამომრჩევლის ხმათა 95%, 76% და 75% მიიღეს (CEC 2012, 2016, 2020). ეს ორი აქტორია მიზიდულობის ის ძირითადი ცენტრი, რომლის გარშემოც როგორც პოლიტიკური პროცესები, ისე საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება თავს იყრის და პოლარიზდება საქართველოში.

ნაშრომში პოლარიზაციის შესაფასებლად განხილულია ერთწლიანი პერიოდი საქართველოში ჩატარებული ბოლო არჩევნებიდან დღემდე - 2021 წლის ოქტომბრიდან² 2022 წლის ოქტომბრამდე. გაანალიზებულია ერთი წლის განმავლობაში პოლარიზაციის აქტორების მიერ სამ ოფიციალურ პლატფორმაზე - ოფიციალურ ვებგვერდზე, Facebook გვერდსა და Youtube არხზე - განთავსებული ოფიციალური განცხადებები, ბრიფინგები. გაანალიზდა ქართული ოცნების სამივე პლატფორმაზე განთავსებული 46 ოფიციალური

² თვითმმართველობის არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი;

უნიკალური ბრიფინგი / განცხადება ხოლო 23 ოფიციალური განცხადება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პლატფორმებიდან.

შედეგად, შეიძლება დავაკვირდეთ პარტიებს შორის პოლარიზაციის ორ ძირითად განზომილებას: (1) *პოლარიზაციის ფორმის* შეფასებისას, გაანალიზებულია, რამდენად დომინანტურია მოწინააღმდეგე პარტიის შესახებ აქცენტები, რამდენად მაპოლარიზებელი/რადიკალური და პერსონალიზებულია ისინი. რადიკალიზმის ხარისხი შეფასებულია კომპონენტებით: ადრესატისთვის დესტრუქციული იარაღის მინიჭება; დაუსაბუთებელი ცილისმწამებლური განცხადება. შეფასება მოხდა 0-იდან 2 ქულამდე, სადაც 0 ნიშნავს არარადიკალურს, 2 უკიდურესად რადიკალურს. საშუალოდ ან უკიდურესად რადიკალური ნარატივები მიჩნეულია მაპოლარიზებელ ნარატივებად. პოლარიზაციის ფორმის შეფასებისას გამოკვეთილია, ასევე, რამდენად ასახავს პარტიების პლატფორმებზე გამოყენებული მედიასაშუალებები აფექტურ პოლარიზაციას. (2) *პოლარიზაციის შინაარსის* შეფასება დაფუძნებულია ოფიციალური განცხადებების მცირე კონტენტ ანალიზზე.

ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ, თუ როგორ ხედავენ თავად პარტიები პოლარიზებულ გარემოში პოლიტიკურ კონკურენციაში შესვლის საკუთარ სტრატეგიებს, რიტორიკას, და ამის მიხედვით შევაფასოთ პოლარიზაციის ხარისხი საქართველოში. თუმცა, თავისთავად, მეთოდოლოგიურ შეზღუდვებს შორის არის ფაქტი, რომ ეს მიდგომა ვერ მოიცავს პოლიტიკური ელიტების რიტორიკას, სპონტანურ ინტერვიუებს ან სხვა ტიპის მასალებს სრულად, რაც, შესაძლოა, კიდევ უფრო ამძაფრებდეს სინამდვილეში საქართველოში დღეს არსებულ სურათს აფექტური პოლარიზაციის შესახებ.

აფექტური პოლარიზაცია - ფორმა და ინტენსივობა


აფექტური პოლარიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ნულოვანი ჯამის თამაშის პრინციპი არა მხოლოდ არჩევნებში, არამედ ზოგადად პოლიტიკურ პროცესში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, როგორც წესი, თუ არჩევნებში ერთი პარტია იგებს, ხოლო მეორე მარცხდება, პარტიული კონკურენციის ნაწილი ხდება წაგებული პარტიის პოლიტიკური დებატიდან განდევნის და მისი მარგინალიზაციის, დეჰუმანიზაციის მცდელობა (Bertoa 2021; Thornton 2021; ცუცქერიძე & კვაშილავა 2022). ეს რეალობა ხასიათდება, როგორც „პოლიტიკური რევანშისა და გადარჩენის ცხოველური ინსტიქტი“

(ცუცქირიძე 2021). საქართველოში ორი დიდი მაპოლარიზებული აქტორი პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა სტრატეგიებს მიმართავს მათ ხელში არსებული რესურსების, მათი მთავარი ამოცანების გათვალისწინებით. თუმცა, ორივე პარტია დაპირისპირების უმთავრეს სამიზნედ სწორედ ერთმანეთს ხედავს და ამით, უმეტესწილად, საკუთარ რიტორიკაში საგნობრივ დისკუსიას ანაცვლებს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქართული ოცნების ოფიციალური ბრიფინგების 80%, განურჩევლად განცხადების თემატიკისა, შეეხებოდა ან უშუალოდ ეძღვნებოდა ენმ-ს, მისი წევრების ქმედებებს ან განცხადებებს. აქედან 92% მაპოლარიზებული ნარატივის ნაწილად შეიძლება შეფასდეს,³ რადგან მათში ასახულია რადიკალური იარლიყების მიზმის, კონსპირაციის ან პარტიის ანტისახელმწიფოებრივად შერაცხვის სტრატეგია. ერთადერთი სხვა მოთამაშე, გარდა ენმ-სი, რომელიც ოცნების ბრიფინგებში იხსენიება, არის პარტია გახარია საქართველოსთვის, ისიც ენმ-სთან კონსპირაციის ჭრილში. ოფიციალური განცხადებების 27% მიემართებოდა პერსონებს, ძირითადად, ენმ-ის ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს. მეორე მხრივ, ენმ-ის ოფიციალური ბრიფინგების 96% მიემართება ქართულ ოცნებას ან ოცნების მთავრობას. მათი 73% მაპოლარიზებული ნარატივის ნაწილად შეიძლება შეფასდეს. პერსონალიზების ხარისხი აქ შედარებით მაღალია და ბიძინა ივანიშვილს მიემართება განცხადებების 65% (დიაგრამა 1,2,3).


აფექტური პოლარიზაცია დომინანტური ქართული პარტიების - ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - რიტორიკაში

დიაგრამა 1




³ იხ. მეთოდოლოგიის ქვეთავი

დიაგრამა 2



დიაგრამა 3



წყარო: ავტორის რაოდენობრივი მოკვლევა (დანართი)

მნიშვნელოვანია, რომ ქართული ოცნება, როგორც სამთავრობო პარტია, მართავს ბევრად უფრო რეგულარულ ბრიფინგებს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, რაოდენობრივად მათი ოფიციალური განცხადებების რაოდენობა აჭარბებს ენმ-ისას, თუმცა პროცენტულ ჭრილში ძირითადი დინამიკის დანახვა მაინც შესაძლებელია. გარდა ამისა, ენმ წარმოადგენს ოპოზიციურ პარტიას, შესაბამისად, ოცნებაზე ორიენტირებული განცხადებების სიმრავლე გასაკვირი არ არის. უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი პოლარიზაციის გაზომვისას არის ამ

განცხადებებს შორის მაპოლარიზებელი რიტორიკის წილი, რომელიც ორივე პარტიის შემთხვევაში შესამჩნევად მაღალია.

გარდა ბრიფინგებისა, პარტიების ოფიციალურ პლატფორმებზე მოიძებნება ვრცელი სატელევიზიო ინტერვიუები, კომენტარები, ლაივ ჩართვები, რაც ოფიციალური რიტორიკის გაზომვის მეთოდოლოგიაში არ შევიდა ორივე პარტიისთვის მასალის ჰომოგენურობის შენარჩუნების მიზნით. თუმცა, პოლარიზაციის შეფასებისთვის საინტერესო დაკვირვებაა, რომ ორივე პარტიის მიერ საკუთარ პლატფორმაზე განთავსებული მასალების წყაროები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება: საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომლის მასალებიც ორივე პარტიის პლატფორმებზე გვხვდება (ცხრილი 2). ეს სურათი აფექტური პოლარიზაციის კიდევ ერთ მახასიათებელზე, მაპოლარიზებელი აქტორების ერთმანეთისგან გათიშულობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს: პარტიებს საკუთარი სამოქმედო არეალი აქვთ და პარტიათაშორისი დისკუსიის ან დებატისთვის ისინი მეტისმეტად განზიდულები არიან ერთმანეთისგან.

ცხრილი 2. დომინანტური ქართული პარტიების - ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - ოფიციალურ პლატფორმებზე გამოყენებული მედიასაშუალებები

		
<p>ქართული ოცნების პლატფორმები</p>	<p>ორივე</p>	<p>ენმ-ის პლატფორმები</p>

წყარო: ავტორის რაოდენობრივი მოკვლევა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ აფექტური პოლარიზაციის ფორმა, რომელიც საქართველოში ორ პარტიას შორის არსებობს, შესამჩნევად მაღალია - ოფიციალური დღის წესრიგის ნახევარზე მეტს მაპოლარიზებელი რიტორიკა შეადგენს. პოლარიზაციის აფექტურობას ადასტურებს რადიკალიზაციის და მოწინააღმდეგის დაზიანებაზე ორიენტირების ასევე შესამჩნევად მაღალი დონე. პოლარიზაციის ფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია კონკრეტული ფიგურები, პარტიების არაფორმალური, თუმცა დე ფაქტო ლიდერებად მიჩნეული პერსონები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საინტერესოა, ამ

ხარისხის აფექტური პოლარიზაციის ფონზე, რა თემების გარშემო იგება მთავარი მაპოლარიზებელი რიტორიკა წამყვანი პარტიების მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

აფექტური პოლარიზაციის ქართული დიქტომია

აფექტური პოლარიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ დაპირისპირებული პოლიტიკური მოთამაშეების რიტორიკა ეფუძნება ემოციურ კონფლიქტებს და იდენტობებს საგნობრივი დღის წესრიგის მიღმა (Torcal & Comellas 2022). ბოლო ერთი წლის განმავლობაში, პოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც ორი პარტია დომინირებს, არაერთი თემა წამოჭრილა დაპირისპირების საგნად, თუმცა, ოფიციალური ბრიფინგების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ორი ძირითადი საკითხი იკვეთება: (1) *რუსეთის შეჭრა უკრაინაში და საქართველოს რეაგირება*; (2) *ევროინტეგრაცია და მისი ინტერპრეტაციები*. ამ ორი თემის გარშემო მთავარი მაპოლარიზებელი სტრატეგიები ორ მიმართულებად შეიძლება დავეყოს: (a) *ურთიერთთავდასხმები და კონსპირაცია*; (b) *დისკურსის პერსონალიზება*.

(1) *რუსეთის შეჭრა უკრაინაში და საქართველოს რეაგირება*

უკრაინაში ომის დაწყების დღიდან ქართული პოლიტიკური დებატი, ძირითადად, ამ საკითხის გარშემო კონცენტრირდა და მაპოლარიზებელი დისკურსი გაიშალა ისეთ მონათესავე თემებზე, როგორცაა საქართველოს რეაგირება რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე, ურთიერთობები კიევთან და კრემლთან, სხვადასხვა აქტორების მიერ საქართველოს „ომში ჩათრევის“ საფრთხე და ა.შ.

ურთიერთთავდასხმის კონტექსტში, ერთი მხრივ, ქართული ოცნება გამოირჩევა ენმ-ისთვის საზოგადოებისთვის სენსიტიური იარლიყების მიზნით, მაგალითად, „*ომის პარტია*“, „*მოლაღატეთა პარტია*“ (ქართული ოცნება 2022b;c). მეორე მხრივ, ენმ ცდილობს ქართული ოცნების აღსანიშნად დაამკვიდროს ტერმინები, როგორცაა „*უსამშობლოთა პარტია*“, „*რუსული ოცნება*“ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2022d;e). ამ კატეგორიაში ორივე მხარისთვის მისაღებია, ერთმანეთი მონათლონ ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედ „*ანტისახელმწიფოებრივ*“ მოთამაშეებად (ქართული ოცნება 2022b; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2022b). ამავდროულად, ქართული ოცნება ხშირად კონსპირაციის ნაწილად აქცევს ენმ-სთან ისეთი აქტორების ასოცირებას, როგორცაა კრიტიკულად განწყობილი ევროპარლამენტარები, არასამთავრობო სექტორი, უკრაინის მთავრობა და ოპოზიციის ნაწილი. ბრალდებათა მთავაზი ხაზი გადის რიტორიკაზე, რომლის მიხედვითაც ამ აქტორებს

აერთიანებს სურვილი, „გაიხსნას მეორე ფრონტი საქართველოში“ რუსეთთან საბრძოლველად (ქართული ოცნება 2022c). მეორე მხრივ, ენმ-ისთვის, როგორც წესი, აქტიურ დღის წესრიგში დგას ქართული ოცნებისთვის რუსულ ელიტებთან კოლაბორაციონიზმის საკითხი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2022c), განსაკუთრებით რიტორიკა, რომ საქართველო რუსეთის უშუალო ხელშემწყობი აქტორია უკრაინაში ომის წარმოებაში.

კონსპირაციის კონტექსტში, მმართველი პარტიის ერთ-ერთ ოფიციალურ ბრიფინგზე გაჟღერდა, რომ „უკრაინის მთავრობის ორმაგი სტანდარტი აიხსნება იმით, რომ ქართველი კრიმინალები იკავებენ უკრაინის ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებს, და ისინი გავლენას ახდენენ უკრაინის ხელისუფლებაზე“ (ქართული ოცნება 2022a). მეორე მხრივ, ენმ-ის რიტორიკაში „საქართველო თავს ესხმის უკრაინელ ხალხს. [...] ქართულმა ოცნებამ ამით საქართველო ღიად დააყენა [რუსეთისა და ბელარუსის] გვერდით“ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2022a). საინტერესოა, რომ უკრაინის საკითხის გარშემო პოლარიზებული დისკურსის ნაწილი პრაქტიკულად არ ყოფილა პერსონალიზებული, ანუ პიროვნებებზე დაფუძნებული თავდასხმები. დებატის ეს განზომილება, ძირითადად, საქართველოს ევროინტეგრაციასთან და დემოკრატიზაციასთან დაკავშირებულ არგუმენტებში იჩენს თავს.

(2) ევროინტეგრაცია და მისი ინტერპრეტაციები

ერთ-ერთი გარდამტეხი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც არასაგნობრივი პოლარიზების საგნად იქცა, არის ევროკავშირთან ურთიერთობები და კავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ვერმიღება, უკრაინისგან და მოლდოვისგან განსხვავებით. ქართული ოცნების რიტორიკაში, როგორც კრიტიკული დებატები, კომენტარები და რეზოლუციები ევროკავშირის მხრიდან, ასევე დამდგარი შედეგი კონსპირაციას უკავშირდება და მიემართება რადიკალური ოპოზიციის ლობის როლს დასავლეთში. საქართველოს შესახებ ევროპარლამენტის კრიტიკული შეფასების კომენტარებისას ქართული ოცნების ოფიციალური პოზიციის მიხედვით, „[რადიკალური ოპოზიციიდან] კონკრეტული პირები ახერხებენ, ტყუილები შეაპარონ ევროპარლამენტის რეზოლუციაში“ (ქართული ოცნება 2022e), რომ „ეს არის „[რადიკალური ოპოზიციის] გეგმა, რომ არ მიიღოს საქართველომ კანდიდატის სტატუსი“ (ქართული ოცნება 2022j). თავის მხრივ, ეს საკითხი ენმ-ის რიტორიკაშიც უკავშირდება „ხელისუფლების მიზანმიმართულ, შეგნებულ, ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას“ და „ხელისუფლების მონდომებულ საბოტაჟს“ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2022b).

აფექტური პოლარიზებული ნარატივის ნაწილია აქცენტირება პერსონებზე ევროინტეგრაციის კონტექსტშიც. ქართული ოცნების რიტორიკაში ამგვარი შეპირისპირების მეთოდი ოფიციალურ ნარატივში შემდეგი ფორმით იძებნება: ერთ-ერთი გამოსვლის მიხედვით, „*პარადოქსია, რომ სააკაშვილის და გვარამიას განთავისუფლებისკენ მოწოდების ფონზე, ევროპარლამენტის რეზოლუცია პოლიტიკიდან გასულ ბიძინა ივანიშვილს ლამის ქართული დემოკრატიის მტრად აცხადებს*“ (ქართული ოცნება 2022e). თავის მხრივ, ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის, დეოლიგარქიზაციის კონტექსტში ენმ-ის რიტორიკაში ხშირად ისმება აქცენტი ბიძინა ივანიშვილზე, როგორც „*რუს ოლიგარქზე*“, რომელიც სინამდვილეში „*რუსულ ოცნებას*“ მართავს, და რომ „*ივანიშვილის რუსული მმართველობა არის დაბრკოლება ევროკავშირის გზაზე*“ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2022d).

საბოლოოდ, ეროვნულად მნიშვნელოვანი საკითხები ხდება არა საგნობრივი დისკუსიის, არამედ დესტრუქციული, ემოციური, არასაგნობრივი რიტორიკის საფუძველი დაპირისპირებულ დიდ აქტორებს შორის (Jones 2022). ამ საკითხების გარშემო იგება ერთგვარი დიქტომია, რომელიც იძენს მაპოლარიზებელ ეფექტს ქართულ პოლიტიკაში და, შედეგად, ამგვარ გარემოში შეუძლებელი ხდება საგნობრივი, დაბალანსებული პოლიტიკური დებატის არსებობა, რაც ჯანსაღი დემოკრატიზაციის აუცილებელი პირობაა.

შეჯამება: რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში?

საქართველოში, დასავლური მომწიფებული დემოკრატიებისგან განსხვავებით, პოლარიზაცია საგნობრივი დებატის რელსებიდანაა გადასული და ორ დომინანტ პოლიტიკურ აქტორს, მმართველ პარტია *ქართულ ოცნებასა* და ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტია *ერთიან ნაციონალურ მოძრაობას* შორის დესტრუქციულ ხასიათს იღებს. ეს პოლარიზაციის აფექტურ, ანუ დამაზიანებელ შედეგებს განაპირობებს პოლიტიკური პროცესისთვის ქვეყანაში. მცირე რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ საზოგადოებასთან პარტიების ოფიციალური კომუნიკაციის ნახევარზე მეტი მოცულია საშუალოდ ან რადიკალური მაპოლარიზებელი რიტორიკით, რომლის ღერძი ხდება ზეპარტიული, ეროვნული მნიშვნელობის თემები, როგორცაა რუსეთის შეჭრა უკრაინაში და საქართველოს ევროინტეგრაცია. ამ საკითხების შესახებ რიტორიკა უკიდურესად არასაგნობრივია. ის მოიცავს არა მხოლოდ რადიკალურ ენას და ამომრჩევლისთვის ემოციურად დამორგუნველი იარაღების მიზმის მცდელობას, არამედ, ემსახურება ერთმანეთის საწინააღმდეგო

კონსპირაციების გავრცელებას საზოგადოებაში. ამას ემატება შიგადაშიგ მაპოლარიზებელი რიტორიკის პერსონალიზება.

ეს მოცემულობა, ფაქტობრივად, სპობს კონსტრუქციული და ჯანსაღი პოლიტიკური დებატის პერსპექტივას საქართველოში. შედეგად, ქვეყნის პოლარიზაციის ჩიხიდან გამოყვანის გზები უფრო კომპლექსური და რთული ხდება. შედეგად, ფართო სურათში ეჭვქვეშ დგება საქართველოს უმთავრესი ამოცანების, დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის მიმართულებით ქვეყნის მნიშვნელოვანი წინსვლა.

დანართი:

რიცხოვრივი მონაცემები დამუშავებული მასალის შესახებ:

	დამუშავებული განცხადებები	ნახსენებია კონკურენტი პარტია	საშუალოდ ან რადიკალურად მაპოლარიზებელი	პერსონალიზებული
ქართული ოცნება	46	31	31	4
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	23	22	17	11

გამოყენებული ლიტერატურა:

- ცუცქირიძე, ლევან. 2021. ეს არის პოლიტიკური რევანშისა და გადარჩენის ცხოველური ინსტინქტი — ლევან ცუცქირიძე. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/521572/> ბოლოჯერ ნანახია: 13/10/2022;
- ცუცქირიძე, ლევან & კვაშილავა, ბაკურ. 2022. ხუთი ნაბიჯი პოლიტიკური მშვიდობისთვის. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/opinion/586940/> ბოლოჯერ ნანახია: 13/10/2022;
- Bertoa, Fernando Casal. 2021. Polarization and Fragmentation of Georgian Political Landscape: Implications for Democracy. Expert Interview # 7. Georgian Institute of Politics. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/polarization-and-fragmentation-of-georgian-political-landscape-implications-for-democracy-expert-interview-with-dr-fernando-casal-bertoa/> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- Bertoa, Fernando Casal & Rama, Jose. 2021. Polarization: What Do We Know and What Can We Do About It? ხელმისაწვდომია: <https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpos.2021.687695/full> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- CEC. 2012. შედეგები. ხელმისაწვდომია: <https://archiveresults.cec.gov.ge/results/2012/index.html> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- CEC. 2016. შედეგები. ხელმისაწვდომია: <https://archiveresults.cec.gov.ge/results/20161008/index.html> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- CEC. 2020. შედეგები. ხელმისაწვდომია: https://archiveresults.cec.gov.ge/results/20201031/#/ka-ge/election_43/dashboard ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- Druckman, James N. & Levendusky, Matthew S. 2019. What Do We Measure When We Measure Affective Polarization? *Public Opinion Quarterly*, Vol. 83, No. 1, Spring 2019, pp. 114–122;
- European Commission. 2022. Opinion on the EU membership application by Georgia. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800 ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- Gegeshidze, Archil & De Waal, Thomas. 2021. Divided Georgia: A Hostage to Polarization. ხელმისაწვდომია: <https://carnegieeurope.eu/2021/12/08/divided-georgia-hostage-to-polarization-pub-85937> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- GIP. 2021. Monitoring the Implementation of the Code of Conduct by Political Parties in Georgia. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/monitoring-the-implementation-of-the-code-of-conduct-by-political-parties-in-georgia/> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- Iyengar, Shanto; Lelkes, Yphtach; Levendusky, Matthew; Malhotra, Neil & Westwood, Sean J. 2019. The Origins and Consequences of Affective Polarization in the United States. *Annual Review of Political Science*. pp. 29–46. ხელმისაწვდომია: <https://www.annualreviews.org/doi/10.1146/annurev-polisci-051117-073034> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;
- Jones, Stephen. 2022. Language and the decline of democracy in Georgia. ხელმისაწვდომია: <https://eurasianet.org/perspectives-language-and-the-decline-of-democracy-in-georgia> ბოლოჯერ ნანახია: 13/10/2022;
- Kkachia, Kornely. 2020. Radicalization of Georgian Politics: treat to sustainable stability. ხელმისაწვდომია: https://dradproject.com/?p=2133&fbclid=IwAR1-4rxwNl37N9WzWQXK6XjGP4fauILpq5L0hEVO_Bel1LtkyNB8SpEtGohY ბოლოჯერ ნანახია: 13/10/2022;

Kakhishvili, Levan; Keshelava, David; Papava, Giorgi & Sitchinava, David. 2021. Georgia's Political Landscape.

ხელმისაწვდომია: <https://southcaucasus.fes.de/news-list/e/georgias-political-landscape> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

McAllister, Devid. 2022. MEP McAllister: We need to see joint action leading to results; not further divisions, mutual accusations; clock is ticking. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/lang/en/news/mep-mcallister-now-is-key-moment-for-georgian-authorities-to-unambiguously-demonstrate-political-determination-to-implement-european-ambitions-of-their-people/> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

OSCE. 2018. GEORGIA PRESIDENTIAL ELECTION 28 October and 28 November 2018 ODIHR Election Observation Mission Final Report. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/396326> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

OSCE. 2020. GEORGIA PARLIAMENTARY ELECTIONS 31 October 2020 ODIHR Limited Election Observation Mission Final Report. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/461776> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

OSCE. 2021. GEORGIA LOCAL ELECTIONS 2 and 30 October 2021 ODIHR Election Observation Mission Final Report. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/496309> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

Patkos, Veronika. 2022. Measuring partisan polarization with partisan differences in satisfaction with the government: the introduction of a new comparative approach. ხელმისაწვდომია: <https://link.springer.com/article/10.1007/s11135-022-01350-8> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

Samkharadze, Nino. 2022. Problem of Cooperation Among Georgian Political Parties: What Do Voters Demand? shorturl.at/gjO09

Thornton, Laura. 2021. Extreme Political Polarization: Implications for Georgian Democracy. Expert Comment #17. Georgian Institute of Politics. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/extreme-political-polarization-implications-for-georgian-democracy/> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

Torcal, Mariano & Comellas, Josep. M. 2022. Affective Polarisation in Times of Political Instability and Conflict. Spain from a Comparative Perspective. *South European Society and Politics*. pp. 1-26;

UNDP. 2021. Media Monitoring for 2021 Local Elections in Georgia. ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/media-monitoring-2021-local-elections-georgia> ბოლოჯერ ნანახია: 28/09/2022;

Van Der Veen, Olaf. 2021. Political Polarisation Compared: Creating a Comprehensive Index of Political Polarisation. MA Thesis. Central European University.

გამოყენებული ბრიფინგები/განცხადებები:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2022a. ნიკა მელიას საგანგებო ბრიფინგი - 07/03/2022. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=MhXbfBOzXEc> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 2022b. ნიკა მელიას პრესკონფერენცია ევროკომისიის პასუხზე - 17/06/2022. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=TqUpJh3vDy4> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 2022c. ნიკა მელიას საგანგებო პრესკონფერენცია - 11/08/2022.

ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=v3zLkc8HWaQ> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 2022d. ნიკა მელიას პრესკონფერენცია ევროკომისიის ანგარიშზე - 15/08/2022.

ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=2z8sfGk0LWQ> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 2022e. ნიკა მელიას პრესკონფერენცია - 22/08/2022. ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=wboNt8-gz90> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ქართული ოცნება. 2022a. ქართული ოცნების ხელისუფლებას ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი შეაქვს!

ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/483649043397925/> ბოლოჯერ

ნანახია: 11/10/2022;

ქართული ოცნება. 2022b. მამუკა მდინარაძის განცხადება. ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/5157095617663354/> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ქართული ოცნება. 2022c. ირაკლი კობახიძე. ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/345492984194206/> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ქართული ოცნება. 2022d. მამუკა მდინარაძის ბრიფინგი. ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/290897563192521/> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022;

ქართული ოცნება. 2022e. ირაკლი ოკობახიძის განცხადება. ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/710384826905476/> ბოლოჯერ ნანახია: 11/10/2022.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ნინო სამხარაძე, „რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის?“, პოლიტიკის მემორანდუმი #60, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge